№ 614 სამშაბათი, 25 აგვისტო. 1896—1898 სამშაბათი, 25 აგვისტო № 614

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 დე „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე — 5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

ქალ-ვაჟთა სკოლა

## ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა

დ. ხონში

პირველ სექტემბრიდამ ამა 1898 წლისა, ნება-რთვით ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან

## საქალებო პროგიმნაზიად

მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.

თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის ელენე ბახტაძის სახელობაზე.

სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მან. წელიწადში. (15—5)



## მაქსის ცირკი

მიხეილის ქუჩაზე, მადერის მამული

სამშაბათს, 25 აგვისტოს

პირველი სადღესასწაულო წარმოდგენა სამს განყოფილებაში.

მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი გიმნასტი ლვოვი და მოჯირითე პიერი.

გაწვრთნილ ცხენებს გამოიყვანს ცირკის დირექტორის ცოლი მაქსისა

კომიკური და სამასხარო გამოსვლა გამოჩენილის კლოუნის მაქსისა

დასასრულ გაიმართება ბალეტი

დასაწყისი 8 საათზე

ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა

ფასები 30 კაპ. მოყოლებული 4 მანათამდე.

## ВИНОГРАДНЫЕ ПРЕССЫ

трехъ величинъ

и

## ВИНОГРАДНЫЯ МЯЛКИ

продаетъ торговый домъ

С. П. Павловъ и К°

Тифлисъ. Лорисъ-Меликовская улица № 6. Телефонъ № 349.

## პრესები ყურძნის დასაჭყლეტად

სამი ნაირის ზომისა

იყიდება ს. პ. პავლოვისა და ამხ.

## სავაჭრო სახლში

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.

ტელეფონი №349. ტელეფონი № 349.

(15—7)

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.

ქარხანა იღებს შირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საწუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)

იაფად და ხმელის მასალისას.

ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა

ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—28)

## კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32

(30—1)

ქ. ქუთაისში

ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაიმართება

## ლოლი

[მარულა) (3—3)

ქ. ქუთაისი

ამ წლის ენკენისთვეში

უფასო სამკითხველოს

ფონდისთვის

გამართული იქნება

## ვაჭრობა-ბაზრობა

დიდის მადლობით მივიღებთ ყოველ-გვარ შემოწირულებას ამ კეთილი საქმისათვის.

(12—10) ელენე ჯინოშვილისა

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა.** მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის სკოლაში არის თავისუფალი ვაკანსია 45 I მოსამზადებელ განყოფილებაში. სხვა განყოფილებებში და პროგიმნაზიულს კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის. შესაძლებელია სექტემბერში მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია, მაშინ დაინიშნება საკონკურსო ეგზამენი და მიღებულ იქმნებიან ისინი, ვინც საუკეთესოდ დაიჭერენ ეგზამენს.

თხოვნა უნდა შემოიტანონ აგვისტოს 30-მდის. თხოვნასთან ერთად საჭიროა შემდეგი საბუთის ქაღალდები: 1. ნათლობის მოწმობა. 2. ყვავილის აცრის მოწმობა და 3. მოწმობა ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკიდან, რომ მოწაფის მშობელი ირიცხება ხსენებული ბანკის დამფუძნებელთა შორის.

ხელ-მეორედ ეგზამენი მოხდება 1, 2, 3 და 4 სექტემბერს და მოსალები საკონკურსო ეგზამენი 5 და 7 სექტემბერს.

10 სექტემბრიდამ სკოლა გადადის ივ. პ. ჯაიანის სახლში ლევა-

შოვის ქუჩაზე. სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს.

ქუთაისის სათ.-აზნ. სკოლის ინსპექტორი ალ. ალ. გარსევანაშვილი


სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.


## არქიმანდრიტის მამა კირიონის ეპისკოპოსად სახელდება.

22 აგვისტოს, შაბათს, შუადღისას, საქართველოს საექსარხოსოს დარბაზში მოხდა სახელდება ეპისკოპოსად არქიმანდრიტის კირიონისა, რომელიც უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ იქმნა ალავერდის მღვდელ-მთავრად, ქართლ-კახეთის ეპარქიის მეორე ქორ-ეპისკოპოსად... სახელდების წესრიგს მრავალი ხალხი დაესწრო. სახელდება მოხდა საქართველოს ექსარხოსის მაღალ-ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს, იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის, გორის ეპისკოპოსის ლეონიდეს და სინოდის საქართველოს კანტორის პროკურორის თანადასწრებით. ეპისკოპოსად სახელდებას დაესწრო, დიდის საზოგადოების გარდა, რამდენიმე არქიმანდრიტი, დეკანოზი და მღვდელ-მონაზონი და მათ შორის ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი გერმოგენი და ამავე სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი დიმიტრი...

სახელწოდების წეს-რიგის შესრულება დაიწყო სინოდის საქართველოს კანტორის მდივნის ბ-ნ სოფრომ მგალობლიშვილის მიერ წაკითხულის უმაღლესის ბრძანებით. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელმწიფემ და თვით მპყრობელმა ნიკოლოზ მეორემ ყოვლად უმოწყალესად დაამტკიცა უწმიდესის სინოდის განაჩენი, რათა არქიმანდრიტი კირიონი, წინამძღვარი ქვაბთა-ხევის მონასტრისა, იქმნას ალავერდის ეპისკოპოსად, ქართლ-კახეთის ეპარქიის მეორე ქორ-ეპისკოპოსადაო...

ამ ბრძანების წაკითხვის შემდეგ მისმა მაღალ-ღირსებამ არქიმანდრიტმა კირიონმა გამოაცხადა თავისი თანხმობა წესისამებრ ეპისკოპოსის ხარისხის მიღების შესახებ... ამის შემდეგ დაიწყო მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ მშვიდობიანი, წმ. ეკკლესიის მიერ წარმოსათქმელად დაწესებული, ეპისკოპოსად სახელდების დროს.

შემდეგ ახლად ეპისკოპოსად სახელდებულმა არქიმანდრიტმა კირიონმა წარმოსთქვა გრძნობით აღსავსე სიტყვა. დაახლოვებით ამ სიტყვის შინაარსი შემდეგია:

„მე სრულიადაც არ წარმოვიდგენდიო ამ თვრამეტის წლის წინად, როცა კურსი შევასრულე კიევის სასულიერო აკადემიაში, თუ ეს ჩემთვის ბედნიერი და დიდმნიშვნელოვანი დღე დადგებოდაო... მე კურსის შესრულების შემდეგ დავიწყე სამსახური სასულიერო წოდების ახალ თაობის აღმზრდელის ასპარეზზე. მას უკან ბევრს რასმეს ვფიქრობდი, ბევრს გეგმას ვაწყობდი ჩემის მომავალის მოღვაწეობისას, ბევრს ადგილს ვირჩევდი სამსახურისას, მაგრამ უფლის განგებულებამ დღეს ნაჩვენებ გზაზე დამაყენა: სხვებსავით მეც ვფიქრონდი მომეპოვებინა მყუდროება და ბედნიერება ოჯახურს ცხოვრებაში, მაგრამ ბედმა მიმუხთლა და ამის გამო სამსახური ეკკლესიის მიმართ მონოზნის წოდებაში ჩემთვის აუცილებელ აუშორებელი შეიქმნა. სწორედ ოცის თთვის წინად ამავე ადგილს, სადაც ეხლა ვდგევარ, ვიდექი მონაზონის მარტივსა და უბრალო ტან-საცმელში და ვაძლევდი აღთქმას მონაზონურის ცხოვრებისას.. დიდი მადლობელი ვარ იმ ჩემის მოძღვრისა, რომელმაც ამ ჭეშმარიტს გზაზე დამაყენა. დღეს უმაღლესის ბრძანებით უნდა ვიტვირთო მძიმე მოვალეობანი მწყემსმთავრისა და ვიქმნე ალავერდის ეპისკოპოსად—იმ ალავერდისა, სადაც ჰმოღვაწეობდა, სადაც ქადაგებდა და სადაც განსვენებულ არს წმ. მამა აბბა იოსებ ალავერდელი... ალავერდის კათედრაზე მოღვაწეობდა მრავალი ღირსი მღვდელ-მთავარი, რომელთ მის წიაღშივე იგემეს საუკუნო განსასვენებელი. ალავერდის ტაძარი ისეთი სიწმიდეა, რომელსაც დიდს პატივსა სცემენ არა თუ მხოლოდ მართლ-მადიდებელნი, არამედ არა-მართლ-მადიდებელნიც, და თვით მთიანის დაღესტნის მკვიდრნი: ლეკები და მაჰმადიანნიც კი, რომელთაც ჩვენში წინაპრები ხმლით ხელში ეომებოდნენ თვისთა სარწმუნოებრივ სიწმიდეთა დასაცველად და ბოლოს ქედი მოადრეკინეს თვისის სიწმიდის წინაშე სალმრთო განგებამ მარგუნა ძველად მართლ-მადიდებლობით განთქმულ ალბანიაში ალავერდის ეპისკოპოსად სამსახური წმიდა ეკკლესიის სასარგებლოდ. ვმადლობ სალმრთო განგებას ამ ხვედრისათვის მით უმეტეს, რომ მე ხელმძღვანელად მეყოლება ეკკლესიის სასარგებლოდ მოღვაწეობის საქმეში გამოცდილი და ბრძენი—მღვდელ-მთავარი... დასასრულ გთხოვთ, წმიდანო მღვდელ-მთავარნო, წარმომადგენელნო ივერიის ეკკლესიისანო, ილოცოთ ჩემთვის, რათა თქვენის მწყემსმთავრულის ლოცვის მეოხებით უფალმან მომცეს შეძლება, ძალი და სიმხნე მისის ეკკლესიის სასარგებლოდ მოღვაწეობისა“...

ამ სიტყვის გათავების შემდეგ მთავარ-დიაკონმა მამა კარგარეთელმა, ესოდენ განთქმულმა თვისის მშვენიერის ხმით წარმოსთქვა „მრავალ-ჟამიერი“ ხელმწიფე იმპერატორისა, მისის უავგუსტოესის მეუღლისა, დედისა და მემკვიდრისა, აგრეთვე უწმიდესისა სინოდისა და ეპისკოპოსად ახლად სახელდებულისა არქიმანდრიტის კირიონისა, რასაც თან მოჰყვა „მრავალჟამიერი“, ექსარხოსის მგალობელთა გუნდის მიერ მწყობრად.

მეორე დღეს, კვირას, დილა ადრიანად, სიონის სობოროში დიდძალი ხალხი იყო მოგროვილი. მთელი ტაძარი, ტაძრის გალავანი და ეზო და ახლო-მახლო ქუჩები ხალხით სავსე იყო. მწირველად ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, თანამსახურებდნენ ყოვლად სამღვდელონი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ალექსანდრე, ეპისკოპოსი იმერეთისა ბესარიონი, ეპისკოპოსი გორისა ლეონიდე, არქიმანდრიტები, რექტორი სემინარიისა გერმოგენი და შემოქმედის მონასტრის წინამძღოლი იონა, დეკანოზი ელიევი, სემინარიის ინსპექტორი დიმიტრი და მღვდელი თოთიბაძე, ეკკლესიის საკურთხეველი სამღვდელოებით იყო აღსავსე. ჩვეულებრივი ლოცვებისა და ღვდელ-მოქმედების შემდეგ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ აკურთხა მამა კირიონი. წირვის შემდეგ მისმა მეუფებამ კვერთხი ჩააბარა ახლად ხელ-დასხმულ ალავერდის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო კირიონს დმ მოკლე სიტყვით მიმართა: აღიღე კვერთხი ესე და მართე ქრისტეს მიერ სამწყსო, აკურთხე იგი და წარიყვანე იგი გზასა სიმართლისასა და სარწმუნოებასა შინა.

წირვის შემდეგ ყოვლად უსამღვდელოესს ეგზარხოსთან სადილი იყო გამართული, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ ყველა ეპისკოპოსნი.

# ახალი ამბავი

*** **შვილისათვის თავ-განწირული დედა.** ამას წინად ქუთაისისკენ მომიხდა წასვლა და ამ მოგზაურობის დროს მოწამე გავხდი შემდეგი შემთხვევისა: ვაგონში შემოიყვანეს რამდენიმე კაცმა ერთი შეშლილი, მშვენიერი სახის ახალგაზდა დედაკაცი. ეს დედაკაცი ხარაგაულელი ვაჭარი გლეხის ცოლი აღმოჩნდა და ამ უკანასკნელმა მიამბო შემდეგი იშვიათი შემთხვევა: „ჭიათურიდან მოვდიოდით მე და ჩემი ცოლი და ერთი წლის ერთად ერთი შვილი თანა გვყავდაო. ჩემს ცოლს ბავშვი ხელში ეჭირა და ფანჯარაში იყურებოდაო; მეც იქვე ფანჯარაში ვიცქირებოდი. ამ დროს ვაგონი შეინძრა (ვაგონები ამ გზაზე ძალიან პატარებია) და ეს ბავშვი ხელიდან გაუვარდა დედასაო. მე მაშინვე ხელი ვტაცე ბავშვს და გადავარდნას გადავარჩინე, მაგრამ დედაზე ამ გარემოებამ ისე ცუდათ იმოქმედა, რომ გულ-შეწუხებული დაეცა და ძლივ-ძლივობით მოვაბრუნეთ, მაგრამ ვაი ამ მობრუნებას!.. საცოდავი ჭკუაზე შეიშალა და ველარაფერი გვიშველია მისთვის. ეხლაც, მკითხავის სიტყვით, გელათში მიგვყავს სალოცავათ და იქნება ამის ძლიერმა მადლმა დამიბრუნოს ცოლიო“.

აქ მე ველაპარაკე იმის შესახებ, თუ რა დიდი გავლენა აქვს ამ შემთხვევაში ექიმის წამალს და როგორც იყო დავაჯერე, რომ თოფურიას საავადმყოფოში მიეყვანა ავადმყოფი. როგორც ეხლა შევიტყე, მართლა უჩვენებიათ თოფურიასთვის და ექიმს მორჩენის იმედი მიუცია.

სანდრო

*** **ს. ალი** (ქართლი). **დაზარალებულთ შემწეობა.** ჩვენს სოფელში ვენახები ბლომად იყო, ისე, რომ ყველას საყოფი ღვინო მოსდიოდათ და აკმაყოფილებდნე თავიანთ მოთხოვნილებას: სახელმწიფო ფულს, მამასახლისისას, მწერლისას, ჩაფრისას, გზირისას, საყარაულოს და სხვა მრავალს... მაგრამ, ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“. სწო-

რედ ჩვენს საბრალო სოფლელებსაც ასე მოუვიდათ, იმათ სიღარიბეს და რამოდენიმე გზით გაჭირვებას ზედ დაემატა ფილოქსერის ქია, რაც მრავალი აღმოაჩინეს ჩვენებურ ვენახებში, რომლის მიზეზათაც, აუარებელი ვენახები ასჩეხეს და დასწვეს; ბევრს გლეხს სულ ისე მოუსპო, რომ ძირი ვაზიც არ დარჩენია, ბევრს გაუნახევრა და ზოგისაში არც კი გამოჩენილა. ბევრი გლეხი დარჩა ხელცარიელი, ბევრი გლეხობა ატირდა, რადგანაც სამუდამოდ მოესპო თავიანთი ნაამგდარი შვილის შესადარი ვენახები და დარჩნენ უმწეოდ ხელ-ცარიელნი. კიდევ დაილოცა ღვთის სამართალი, რომ თავის გაჩენილს კაცს, როგორც გააჩენს, ისე დაარჩენს. საფილოქსერო კომიტეტმა, ალის საზოგადოებისათვის, 1896 წ., დაზარალებულ ვენახების პატრონთა სასარგებლოთ, სამოცდა რვა თუმანი და ოცდა შვიდი კაპიკი გადასდო.

ალელებს დარჩათ საკუთრათ სამოცი თუმანი ფული, რადგანაც სხვა სოფლებში ნაკლებათ არის ვენახები. ეს ფული გამოვიტანეთ მ ერთი კვირის წინად და ეხლა აიყვეს, მიუხედავად შეძლებისა, ის რამდენი საჟენი დაეწვა. მართალია, ხსენებული ფული არც ზარალის მეათედს შეადგენდა, მაგამ გაჭირვებული კაცისთვის ცოტაც ბევრად გამოსადეგია. ან ეგ რომ მიეცათ, განა წინააღმდეგი გაუხდებო ვინმე?!. სწორედ დიდი მადლი მოუვიდათ საბრალო ალელებს ამ ფულის დარიგებისთვის, ზოგ-ზოგს კარგა ბლომათ შეხვდათ, მაგრამ შეუბრალებელმა უნამუსო ჩარჩებმა ამ დარიგებაზედაც იხმარეს თავიანთი ცბიერება და ბევრს გლეხს დასცინცლეს ხელიდან საცოდავათ და კანკალითა აღებული ფული. გლეხებს ჯიბეს არც კი ასუნებიეს და თითონ იკრეს თავიანთ სუქან უძირო ჯიბეებში.

მედავითნე სერგო

*** **ს. დიდი-ჯიხაიში** (იმერეთი). **ჩხუბის მსხვერპლი.** 16 ამ თვეს აქაურს ნორმალურს სკოლის ბაღში ბაზარი, სეირნობა იყო გამართული, სადაც დიდძალი ხალხი დაესწრო და ყველა ნასიამოვნები დარჩა. სამწუხაროდ ბევრი მთვრალებიც იყვნენ. ვიღაც ი. ნემსაძე წაელაპარაკა გ. წერეთელს და ის იყო საქმე მორიგებით თავდებოდა, მაგრამ ამ დროს წერეთელს გამოექომაგა თერძი კოსტა თათეიშვილი და ხანჯლით შეუტია ნესაძეს, ამ უკანასკნელმა ბევრი აფრთხილა თათეიშვილი, მაგრამ ვერაფერი გაუვიდა და მიტომ ესროლა დამბაჩა და ტყვია მოხვდა ძუძუს ზევით და გავიდა მეორე მხარეს კისერთან. დაჭრილი წაიყვანეს თოფურიას საავადმყოფოში, ხოლო ნემსაძე შეიპყრეს და ოქმი შეადგინეს.

*** **ზემო იმერეთი.** მოსავლის პირი. წელს ზემო იმერეთში გვარიან მოსავალს მოელიან, როგორც სიმინდისას, ისე ღვინისას. თუ დღემდე ასეთი მოლოდინი საფუძველს მოკლებული იყო, რადგან ხანგრძლივმა გვალვამ დიდად შეაწუხა ჭირნახული, სამაგიეროდ ამ ბოლო დროს ისეთი მადლიანი წვიმა მოვიდა, რომ ვერც ერთი ზემო იმერელი ვერ დაემდურება თავისი ჭირნახულის მდგომარეობას, თუ ამის შემდეგაც მოსავლის ხელის შემწყობი ამინდები დაიჭირა. ყურძნის დამწიფებამ წელს ჩვეულებრივზე უფრო დაიგვიანა, მაგრამ სამაგიეროდ ბევრგან ვენახს საგანგებოდ ასხია. ისეთმა ვენახებმაც-კი, რომლებსაც დღემდე, ფილოქსერისა და სხვა ავადმყოფობის წყალობით, საიქიოსკენ ჰქონდათ პირი, წელს, რაღაც მანქანებით, ისევ ჩვენსკენ იბრუნეს პირი და პატრონებს ჩინებულ მოსავალს ჰპირდებიან.

*** **დ. ზესტაფონი.** დაბის დაწინაურება. მართლაც და ქების ღირსია ზესტაფონელი ახალგაზდობა, რომელსაც დაბისათვის ორი ფრიად ძვირფასი კულტურული დაწესებულება შეუძლვნია ამ მოკლე ხანში და ამით მტკიცე ნაბიჯები გადაუდგმევინებია დაწინაურების გზაზე. მე მოგახსენებთ ზესტაფონის წიგნთ-საცავ-სამკითხველოსა და თეატრის შესახებ. ორივე ეს დაწესებულება ჯერ-ჯერობით, როგორც ეტყობა, მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული; ამის სრული თავმდებია ის თავ-გამოდება და ენერგია, რომლითაც ადგილობრივი ახალგაზდობა ეკიდება თვის მიერ დაწესებულ საქმეებს. სწორედ ამ თავ-გამოდებით აიხსნება ის ერთ-სულოვნება, რომელიც გამოიჩინა ზესტაფონის ახალგაზდობამ ერთ თავის კრებაზე თეატრის საქმის გამო ერთი თვითნება ვაჟბატონის შესახებ; ამ ვაჟბატონს მონებებია თეატრს დაბატონებოდა, მაგრამ, როგორც-კი ერთმა ყმაწვილმა გამოაშკარავა კრების წინ ყოველი მისი გულის ზრახვანი, კრებამ ერთხმად გადასწყვიტა ხსენებული ვაჟბატონის განდევნა თეატრის გამგეობიდან და კიდეც განდევნა.

*** **ქ. ოზურგეთი.** უსუფთაობა. ორი წელიწადია, რაც ეგრედ წოდებულ „გურიელის“ ქუჩაზე არის ცხენების თავლა, რომელსაც ყოველ მხრივ გარეშემო არტყია მოსახლეები. გარდა ამისა ამ ქუჩაზე დიდძალი ხალხი მიდი-მოდის, რომელთაც სულს უხუთავს და გულს უწუხებს აქაური ცუდი სუნი ზაფხულ-ზამთრობით. ვსთხოვთ ქალაქის ჭირისუფლებს, რომ კეთილ ინებონ და მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას, რათა დაგვიხსნას ამ უსუფთაობისაგან.

ოზურგელი

*** **სოფ. სვირი** (ზემო იმერეთი). **ჩვენებური უსაქმურობა.** სოფ. სვირი სულ ამ რამდენისამე წლის წინად მთლად ერთ ვენახს წარმოადგენდა და ღვინოც საუცხოვო მოსდიოდა, რომელიც დღესაც-კი შორს არის განთქმული. ღვინის შემწეობით ეს სოფელი ნივთიერად ყველა სოფლებზე წინ იყო წასული ზემო იმერეთში და სწორედ ამ ნივთიერმა სიმდიდრემ შეაძლებინა სვირელებს თავიანთი შვილები ბლომად აღეზარდათ სასწავლებლებში. ძვირად თუ ზემო-იმერეთის რომელსამე სოფელს ეყოლება იმდენი ნასწავლი შვილი, რამდენიც სვირსა ჰყავს. უმრავლესობა სვირელ ნასწავლ ყმაწვილებისა მასწავლებლებად არიან საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში და მხოლოდ ზაფხულობით ეწვევიან ხოლმე თავიანთ სამშობლო სოფელს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მათ ეს მცირეოდენი თავისუფალი დროც ვერ მოუხმარებიათ თავიანთ აღმზრდელ სოფლის სასარგებლოდ. მართალია, ხან-და-ხან გამართავენ ვითომ წარმოდგენას, მაგრამ გვეეჭვება ამით მათ შეეძლოთ თავიანთი ვალის გადახდა სოფლისათვის,— მით უმეტეს, რომ სვირი დღეს განსაკუთრებულს დახმარებას საჭიროებს მათგან. საქმე ის არის, რომ სვირის ნივთიერ მდგომარეობას დღეს ძირი ეთხრება: ფილოქსერამ, ლამის არის, მთლად გაანადგუროს სვირის ვენახები და ამით მთელი სვირის მცხოვრებლები გაალატაკოს საბოლოოდ. აი რა ადგილზე ეჭირვება დღეს ამ სოფელს მალამოს დადება! აი რა უნდა შეეგნო სვირის ინტელიგენციას!

*** **სად. სუფსა.** ჯიბგირების თავ-გასულობა. 22 აგვისტოს, როდესაც მესამე ნომერი მატარებელი გასცილდა სუფსის სადგურს, ვიღაც ბოროტ-მოქმედთ ამოაცალეს ჯიბიდან მეწვრიმალე იტალიელს, გვარად რეჩოს, 400 მანათი და რაღაც ქაღალდები. მეწვრიმალე მოდიოდა თურმე ბორჯომიდამ, გზაში დასძინებოდა და როცა გამოეღვიძა, ნახა, რომ საფულე არა აქვს. მორთო საწყალმა საშინელი გულ-შესაზარი ყვირილი: მიშველეთ, დავიღუპე! მისცვივდნენ და ნახეს გული წასვლოდა. ბოლოს მოაბრუნეს და გამოჰკითხეს ვინაობა და შეიტყვეს რომ 400 მანეთი აღარ აქვს. სასურველია მძინარე მგზავრებს კონდუქტორები ყურს უგდებდნენ.

ტროსტაძე

*** **მიხეილოვი.** სასჯელიც ასეთი უნდა. ყველა მკითხველებს ეხსომება, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიის ნოქარი ბ-ნი ჩისტოვი სხვა-და-სხვა ბოროტებისათვის სამსახურიდან დაითხოვეს. ამაზე თავის დროზე „კავკაზში“ და „ნოვ. ობ.“-ში იყო ცნობები დაბეჭდილი. კომისია რომელიც განაგებს ამ მაღაზიების საქმეს, დარწმუნდა, რა ნოქარის ავკაცობაში, მაგ. საზოგადოების ფულის მისაკუთრებაში, სანოვაგის ძვირად გაყიდვაში, წონასა და ზომაში სიყალბეს, მოხსენდა ეგ ყოველივე კრებას და კრებამ დაადგინა ჩისტოვი დაითხოვეთ სამსახურიდან, ხოლო საზოგადოების 150 მან. გამოურიცხეთ ჯამაგირიდანაო. მართლაც დაითხოვეს და 150 მან. გამოურიცხეს, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ეს ნოქარი ეხლა, როგორც გვესმის, სხვა ამ გვარივე მაღაზიაში უნდა მიიღონ ძველებურსავე თანამდებობაზე და წინანდელი 45 მან. მაგიერ თვეში უნდა აძლიონ 50 მან. სასჯელიც ასეთი უნდა!

ი.

# თეატრის მატიანე

**ს. აბაშა** (სამეგრელო). ქართული წარმოდგენა. 15 აგვისტოს აქ გაიმართა ქ. ელ. თოფურიძის თაოსნობით წარმოდგენა აბაშის საეკლესიო სამრევლო სკოლის სასარგებლოდ დიდად პატივცემულ და ნიჭიერ მოთამაშის ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლის შემწეობით, რომელმაც მიიღო თავისს თავზე დიდი შრომა და ღვაწლი ჩვენი სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნა თ. რ. ერისთავის ვოდევილი „ბიძიასთან გამოხუმრება“ და ვ. გუნიას ვოდევილი „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“. მონაწილეობას ღებულობდნენ: ქ. ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. თოფურიძისა, ლ. ხოშტარიასი, ა. ქვარიანისა; თავ. ა. ფაღავა, ბ-ნნი ნ. გაბუნია, მ. ნადარეიშვილი და ლანტკურელი. მოთამაშეებმა კარგად იცოდნენ თავიანთი როლები და მშვენივრადაც შეასრულეს. წარმოდგენამ მეტის-მეტ მხიარულად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენის გათავების შემდეგ თამაში იყო გამართული და საზოგადოება დიდათ კმაყოფილი დაიშალა.

დ. თ.

*** დ. ზესტაფონი. ქართული წარმოდგენა. კვირას, 16 აგვისტოს, ერთი წარმოდგენა კიდევ გაგვიმართა ბ-ნმა ვ. ბალანჩივაძემ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა და ქ. ლორთქიფანიძისა, ბბ. ტყეშელაშვილის და ჩარკვიანის მონაწილეობით; ითამაშეს „არსენა“ დრ. 3 მოქმ. ა. ყაზბეგისა და „ოთხი იმერელი“, ვოდ. ერთ მოქ. დ. მესხისა. ეს წარმოდგენა შედარებით წინანდელზედ ძლიერ სუსტობდა და ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მოთამაშეები ძლიერ მოუმზადებლები იყვნენ, რადგან კვირა დილას დაიწყეს პიესის მომზადება და საღამოს არდგენდნენ.

თავისუფალი

## განცხადებანი


# ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., 1/2 გირვანქა 2 მან. 50 კაპ.

ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., 1/2 გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи. (30—16)



ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

—

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

—

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

**Музыкальное депо**

**Б. М. Мириманіана**

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—42)



იბეჭდება და მალე გამოვა

**გასაყიდად**

იმერული სცენები, კოტე მესხისა ჯუზეპე გარიბალდი, ბიოგრაფია უკანასკნელი მთავარი სვანეთისა ახუნდი, პოემა ვაჟაფშაველასი ნარა, მოთხრ. ჩოხატაურელისა საქვეყნო სიზმარი, ამბავი დ. მაჩხანელისა. (30 - 4)



ახლად გახსნილი

# სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

✦✦ სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია ✦✦

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს საყვიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

**ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ**

# ТИПОГРАФІИ „Цнобисъ Фурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европеискихъ языкахъ.

**Дешевизна, изящество и быстрота исполнения**



**Изданіе газеты «Казбекъ»,**

пріостановленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ

возобновляется со **2**-го сентября 1898 г.

**Принимается подписка**

на общественную, политическую и литературную гасету

# „КАЗБЕКЪ“

**Условія подписки:**

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . . 6 руб.
Съ пересылкою иногороднимъ » » » . . . 7 руб.
Съ сентября по 31 декабря 1898 г какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ **два** рубля.

**Плата за объявленія:**

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. ) со строки
На 4-й » „ 1 » 10 к. „ » 5 к. ) петита

Отдѣлный нумеръ 5 коп.

Подписиваться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и до конца года. Цолписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. «Казбекъ» у издателя С. І. Казарова. (12—2)



# урбени L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი

ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—32)



# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

препомдаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3)товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—40)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია